ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

№ 01-138-01 **13 მარტი, 2020 წელი**

ხობის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის“ „ე.ვ“ ქვეპუნქტის, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებისა და „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 თებერვლის №529 განკარგულების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. ხობის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და ამ ღონისძიებათა ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყოფ პირთა უსაფრთხოების, მიგრაციული პროცესების მიმდინარეობის კონტროლის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოქალაქეთა რიცხოვნობის შემცირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მოქალაქეთა მომართვიანობის შემცირების მიზნით, განხორციელდეს შემდეგი სახის დროებითი ღონისძიებები:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულთათვის დაწესდეს დისტანციური სამუშაო რეჟიმი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შეიზღუდოს საჯარო ღონისძიებების (მათ შორის, კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომები) ორგანიზება, გარეშე პირთა მონაწილეობით. დაწესდეს იმ ტიპის სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა რომელთა მომსახურების მიღებაც დაკავშირებულია ხალხმრავლობასა და ისეთ გარემოსთან, სადაც შედარებით მაღალია ვირუსის გავრცელების რისკი:

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან შეიზღუდოს სამსახურებრივი მივლინებები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შეიზღუდოს გარეშე პირთა დაშვებისა და გადაადგილების შემთხვევები;

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საქმიანობა წარიმართოს „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 თებერვლის №529 განკარგულებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

2. ამ ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე:

ა) ეთხოვოთ მოქალაქეებს, მაქსიმალურად შეიკავონ თავი ხალხმრავალ ადგილებში მისვლისგან (მათ შორის, მუნიციპალური მომსახურებით სარგებლობისგან, თუ ამის უკიდურესი აუცილებლობა არ დგას). დაინტერესებულ პირებს მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ დისტანციურად, შესაბამისი დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

ბ) ეთხოვოთ მოქალაქეებს, უზრუნველყონ ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების დაცვა;

გ) ეთხოვოს სოფლის ამბულატორიებისა და ოჯახის ექიმებს, შეისწავლონ ხობის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპისთვის ახალი კორონავირუსის გავრცელების ქვეყნებიდან (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სამხრეთ კორეა, იტალიის რესპუბლიკა, ირანის ისლამისტური რესპუბლიკა, ავსტრიის რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ესპანეთის სამეფო და სხვა) საცხოვრებლად ჩა-

➤➤➤➤➤➤➤➤➤➤

ირაკლი (დაჩი) ბერაია საარჩევნო სისტემის 120/30-ზე მოდელს მხარს დაუჭერს.

მე მხარს დავუჭერ ამ კანონპროექტს სამივე მოსმენაზე, მათ შორის საკომიტეტო მოსმენებზეც,–ამის შესახებ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა დეპუტატმა დაჩი ბერაიამ შეთანხმებულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, ჟურნალისტებთან განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, შემოთავაზებულ პროექტში პრობლემური აღარ არის ის საკითხები, რის გამოც პროპორციულ სისტემაზე გადასვლას მხარი არ დაუჭირა.

„სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის დროს ჩვენ არ დავუჭირეთ მხარი ამ საკანონმდებლო ცვლილებას ორი მიზეზის გამო: ერთი–რეგიონებს არ რჩებოდათ წარმომადგენელი პარლამენტში და მეორე, თუნდაც 49 პროცენტიანი მხარდაჭერის შემთხვევაში ძალიან დიდი შანსი იყო ქვეყანაში შექმნილიყო სამთავრობო და პოლიტიკური კრიზისი. ამ საკანონმდებლო ცვლილებით ეს ორივე მომენტი არის დაბალანსებული–რეგიონებს ნაკლები, მაგრამ მაინც ეყოლებათ თავისი წარმომადგენელი პარლამენტში და 40-42-43 პროცენტის შემთხვევაშიც კი, ფაქტობრივად, გამორიცხულია სამთავრობო და პოლიტიკური კრიზისის რისკები.

აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერ ამ კანონპროექტს და მივესალმები ამ კონსენსუსს.

ამ კანონპროექტით ნაკლები შანსია იმის, რომ კოალიციური მთავრობა დასჭირდეს საქართველოს და მემარჯვენე და მემარცხენე, პროდასავლურმა და პრორუსულმა პარტიებმა ერთად დაიწყონ მთავრობის დაკომპლექტება, ამ მოცემულობით ამის ნაკლები შანსია, ვიდრე სრულად პროპორციულის შემთხვევაში იქნებოდა“,–განაცხადა დაჩი ბერაიამ.

შეგახსენებთ, დაჩი ბერაია ერთ-ერთი იყო, რომელმაც თავის დროზე სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას მხარი არ დაუჭირა.

ცენტრალური პარკის მოწყობის მეორე ეტაპი მიმდინარეობს

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ ხობის ცენტრალური პარკის მეორე ეტაპის სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში, ტერიტორიიდან დაზიანების გარეშე გატანილიქნა მწვანე ნარგავები, რომლებიც გადანაწილდა ხობის მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში.

პირველ მაისში და ახალ სოფელში მოეწყობა სკვერები, საჯიჯაოში და ნოჯიხევში ხეები დაირგო საბავშვო ბაგა-ბაღების ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ხობის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიას, სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, მოწვეული დენდროლოგები ჩაატარებენ კვლევას, ფლორისტებთან და დეკორატორებთან ერთად შეიმუშავებენ დენდრო პროექტს.

შესაბამის სეზონზე კი შემუშავებული პროექტის მიხედვით, განახლებულ ტერიტორიაზე ახალი ხე-მცენარეები დაირგვება.

ინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ჯანდაცვის პირველად რგოლებთან ერთად ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს კოვიდ-19-ის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით რთული ეპიდსიტუაციის მქონე ქვეყნებიდან საქართველოში შემომსვლელ პირთა დროებით იზოლაციის პერიოდში სამედიცინო ზედამხედველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის განხორციელებისთვის.

მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო შტაბის ხელმძღვანელობით, ტერიტორიულ ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულებთან და ტერიტორიულ სამედიცინო დაწესებულებებთან ერთად ჯანდაცვის ცენტრის მიერ მონიტორინგი იქნება დაწესებული იმ ადამიანების ჯანმრთელობაზე, რომლებიც ჩამოვიდნენ კოვიდ-19-ის მხრივ არაკეთილსაიმედო ქვეყნებიდან: ჩინეთი, სამხრეთ კორეა, იტალია, ირანი, და ასევე უკვე, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან. თითოეულმა ასეთმა პირებმა უნდა აირჩიონ თვით იზოლაციის ან საკარანტინო დაწესებულებაში 2 კვირით იზოლაცია.

10 მარტის მდგომარეობით ხობის მუნიციპალიტეტში კოვიდ-19-ით დაინფიცირებული პირი ჯერჯერობით არავინ არ არის. ასევე არ გვყავს კონტაქტში მყოფი პირები, მონიტორინგი გვაქვს დაწესებული ქვემო ქვალონის, ბულიშის უბნის 3 მცხოვრებზე, რომლებიც მ/წლის 3 მარტს გამთენიისას ჩამოფრინდნენ საფრანგეთიდან, ასევე პ/მაისის მცხოვრებ 1 პირზე, რომელიც ჩამოსულია საფრანგეთიდან, 4-ივე მათგანს მიეცა რეკომენდაცია 2 კვირა იყო თვითიზოლაციაში. ასევე თვითიზოლაციაში იმყოფება სოფელ ჭალადიდის 2 მცხოვრები პირი, რომლებიც 10 მარტს გერმანიიდან ჩამოვიდნენ. მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ოჯახის ექიმთან ერთად ჯანდაცვის ცენტრის მიერ დაწესებულია სამედიცინო ზედამხედველობა.

თუ ადამიანებს აღენიშნებათ ხველა, მაღალი ტემპერატურა, სუნთქვის გაძნელება, მშრალი ხველა. ანამნეზში მოგზაურობის ისტორია კოვიდ-19-ის მხრივ არაკეთილსაიმედო ქვეყნებში. მათ სასწრაფოდ უნდა მიმართონ ოჯახის ექიმს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პაციენტს მისცემს მიმართვას ინფექციურ საავადმყოფოში გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის.

პაციენტი მწვავე რესპირატიული სიმპტომებით და სიმპტომების გაჩენამდე 14 დღის განმავლობაში კონტაქტში თუ იყო კოვიდ-19-ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევასთან, ითვლება შესაძლო შემთხვევად.

დადასტურებული ან სავარაუდო შემთხვევების კონტაქტებად ითვლებიან პირები, რომლებსაც ჰქონდათ ბოლო 14 დღის განმავლობაში კონტაქტი დადასტურებულ შემთხვევასთან.

კონტაქტირებულმა პირებმა თავითონ უნდა დაიწესონ მგზავრობისა და მოძრაობის შეზღუდვა, ჯანდაცვის ცენტრი მათზე განახორციელებს მონიტორინგს მათ სახლებში ვიზიტით, ან ვირტუალურად ან ტელეფონის საშუალებით.

ნებისმიერი კონტაქტირებული, რომელიც ავად გახდება და დააკმაყოფილებს შემთხვევის განსაზღვრებას, უნდა კლასიფიცირდეს როგორც შესაძლო შემთხვევა და მას უნდა ჩაუტარდეს ტესტირება.

კოვიდ-19-ის გავრცელების ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი ჰიგიენის დაცვას, დამცავი ინდივიდუალური საშუალებების გამოყენებას.

საჯარო სკოლებში, სკოლამდელ და სხვა ნებისმიერ დაწესებულებაში უნდა ჩატარდეს სადეზინფექციო სამუშაოები, სველი წესით დალაგება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი საჭიროების შემთხვევაში ხელების საპნით დაბანვას, კოვიდ-19 ვრცელდება დაავადებული, დაინფიცირებული პაციენტის მიერ ხველისას, დაცემინებისას, ვირუსი ვრცელდება 1-2- მეტრის მანძილზე და შემდეგ ილექება ზედაპირებზე. სწორედ ამიტომ საჭიროა ყოველი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ჩატარდეს სამუშაო კაბინეტების, ნებისმიერი დახურული სივრცის, სატრანსპორტო დაწესებულებების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დეზინფექცია.

თუ აუცილებელი არ არის თავი უნდა შევიკავოთ მოგზაურობისგან, თავი უნდა ავარიდოთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ვიზიტებს. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა გამოვიყენოთ საეჭვო სიმპტომების მქონე ადამიანებთან კონტაქტისას ან ავადმყოფის მოვლისას. ნიღბები, ხელთათმანები არის ერთჯერადი გამოყენების და გამოყენების შემდეგ ექვემდებარება უტილიზაციას.

შორენა საბახტარაშვილი,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

№ 01-138-01 13 მარტი, 2020 წელი

ხობის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

1

მოსული ან აქ მცხოვრები მოქალაქეების მდგომარეობა, ასევე ტურისტების ჩამოსვლის და უკან დაბრუნების დრო, ჩაატარონ ასეთ მოქალაქეთა აღწერა (დააფიქსირონ მგზავრობის ისტორია), განახორციელონ საჯარო სკოლებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციები ყოველდღიურად მიაწოდონ ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“.

დ) დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე განახორციელონ ყოველდღიური მონიტორინგი მიგრაციული პროცესების მიმდინარეობაზე და აღნიშნულის თაობაზე მიაწოდონ ინფორმაციები სოფლის ამბულატორიებისა და ოჯახის ექიმებს, შემდგომში მათ მიერ ამ ინფორმაციის ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიწოდების მიზნით;

ე) დაევალოს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“, უზრუნველყოს ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე, სოფლის ამბულატორიების და ოჯახის ექიმებისთვის, ასევე საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების ხელმძღვანელებისათვის, აგრეთვე მუნიციპალიტეტში არსებული საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულების ხელმძღვანელებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;

ვ) ეთხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელძღვანელებს, საჯარო დაწესებულებათა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით აუცილებელ ღონისძიებათა განსაზღვრა;

ზ) დაევალოთ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის მიზნით მოსამსახურეთა ნუსხის განსაზღვრა, მათი ფუნქცია-მოვალეობების, სამუშაოს სპეციფიკისა და უფლებამოსილების განხორციელების პროცესში არსებული საკითხების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა;

თ) ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს, მათი დაცვის ქვეშ არსებულ, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობებში უცხო პირთა შესვლის შეზღუდვა, გარდა განსაკუთრებული და გადაუდებელი აუცილებლობისა, შესაბამის პასუხისმგებელ პირთან ან/და სამსახურთან შეთანხმების გარეშე;

3. ბრძანება ამოქმედდეს გაცნობისთანავე და გავრცელდეს ამ ბრძანებით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში, ასევე, გაზეთში „ხობის მოამბე“.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

ვარაზ გაბედავა,
ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

კორონავირუსის პრევენციის საკითხებზე შეხვედრა გაიმართა

ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, ახალი კორონავირუსის პრევენციისა და პროფილაქტიკის თემაზე შეხვედრა გაიმართა.

„ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორმა შორენა საბახტარაშვილმა ხობის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის პრევენციის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზე და საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობაზე ისაუბრა.

შეხვედრას საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ქარდავა, მერის მოადგილეები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხობის რაიონული სამმართველოს უფროსი დავით პაპავა, ოჯახის ექიმები, მერიის, საკრებულოს და თვითმმართველობის იურიდიული პირების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, სადეზინფექციო სამუშაოები უკვე ჩატარდა მუნიციპალიტეტის სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ბიბლიოთეკებსა და სახელოვნებო დაწესებულებებში.

სოფელი

ყულევი არის სოფელი, რომელიც თავისი ისტორიით, კულტურით, სტუმართ-მასპინძლობით, ტრადიციებით დიდ სოფლებს არ ჩამოუვარდება. სადაც ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც კარგად აქვთ გათვითცნობიერებული ის, რომ ქვეყნის ძლიერება და ბედნიერება საქართველოს ყოველი მოქალაქისა და ყოველი კუთხის ერთიანობაშია.

მეტი ზემართება და მონდომება ჰემართებს

ქართული ცის ქვეშ ჩვენ ერთ მიწაზე დავიბადეთ, ერთი მზით, ერთი ჰაერით ცხოვრება უფლისგან გვერგო წილად, განგებამ დაგვანათლა ერთი ტკივილითა და ერთი საფიქრალით ცხოვრება. როგორც მოგეხსენებათ, ყულევი ზღვისპირა სოფელია.

სოფელი მეჩხერადაა დასახლებული, ახალი დასახლება კი მჭიდროა. სოფელში 115 კომლი (332 მოსახლე) და 2 აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი ცხოვრობს. ხალხი ზომიერად პრეტენზიულებიც, მაგრამ მომთმენი და დამთბობებიც არიან. ძირითადად მოსახლეობა დასაქმებულია ყულევის ტერმინალში.

ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც მოსახლეობას წლების განმავლობაში აწუხებდა და გადაუჭრელი რჩებოდა, იყო სასმელი წყალი, ანუ სოფელში არ არსებობდა წყალმომარაგების სისტემა და სოფლის სასმელი წყლით მომარაგება ხორციელდებოდა მერიის დაფინანსებით, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სოფელს კვირაში ერთხელ წყალი მიეწოდებოდა ავტოცისტერნით, ოჯახ-ოჯახ ჩამორიგებით, რაც მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი არაერთხელ გამხდარა.

როგორც თქვენთვის ცნობილია გასულ წელს ადგილობრივი ხელისუფლებისა და ჩვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონი ირაკლი (დაჩი) ბერაიას უდიდესი თანადგომით არამარტო ჩვენს სოფელში, არამედ ქარიატასა და შუა-ხორგშიც გაკეთდა ახალი წყალგაყვანილობის სისტემა და დღეს სამივე სოფელს 24 საათიან რეჟიმში მიეწოდება უმაღლესი ხარისხის სასმელი წყალი.

სოფლისთვის არანაკლებ პრობლემას წარმოადგენდა აგრეთვე შუა-ხორგა-ქარიატა-ყულევის საავტომობილი გზა, რომელიც იყო ამორტიზებული, მაგრამ აღნიშნული პრობლემაც მოგვარებულიქნა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ზემოთ აღნიშნული გზის 16 კილომეტრიან მონაკვეთს და დღეს უკვე გვაქვს თანამედროვე სტანდარტების გზა თავისი ინფრასტრუქტურით.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყულევი პატარა სოფელია, ამიტომ თანხა, რომელიც გამოყოფილია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, შეადგენს 12 000 ლარს (მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე).

გასულ წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით თანხა გაიყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი მოხმარდა მშვიდობის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის წინ მდებარე სანიაღვრე არხის ამოწმენდას, ხოლო მეორე ნაწილი სასაფლაოს ნაწილობრივ შემოღობვას.

მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხით ისევ მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით დაგეგმილია სოფლის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული მინი-სტადიონის რეაბილიტაცია.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით დაგეგმილია ყულევის საჯარო სკოლის შენობის გადახურვა.

ყულევში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა, მაგრამ სოფელს არ გააჩნია საკუთარი საბავშვო ბაღი, ამიტომ სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით ქარიატის საბავშვო ბაღში.

როგორც მოგეხსენებათ ყულევში ფუნქციონირებს შპს „შავი ზღვის ტერმინალი“, სადაც დასაქმებულია 30 ადგილობრივი ადამიანი, აგრეთვე ტერმინალი გარკვეულ სოციალურ პროექტებსაც ახორციელებს: კერძოდ, ახალ დასახლებაში მცხოვრებთ თითოეულ ოჯახს ყოველთვიურად უხდის მათ მიერ მოხმარებული 200კვ-ტი ელექტროენერგიის საფასურს.

პერიოდულად ეხმარება სკოლას სხვადასხვა სახის პრობლემის მოგვარებაში და აგრეთვე ახორციელებს სხვადასხვა სოციალურ პროექტებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ამიტომ მადლობა ტერმინალის ხელმძღვანელობას და პირადად ბატონ კარიმ გულიევს გაწეული თანადგომისთვის.

მიმდინარე წელი საარჩევნო წელია, მეტი პასუხისმგებლობა, მეტი მონდომება, შემართება და ძალების მობილიზება გვმართებს, რათა არჩევნებში ხალხის ნდობა და მხარდაჭერა მოვიპოვოთ. მეიმედება ჩემი ხალხის, რადგან ჩვენ ერთი ჭირი და ლხინი გვაერთიანებს და გაგებით ვეკიდებით ერთმანეთის სატკივარს.

გაზაფხულის თბილი დღეებიც დადგა, სამუშაოები (ხვნა-თესვაც) დღე-დღეზე დაიწყება. ჩვენი ერთობლივი საზრუნავი კი ამჟამად მობილიზებაა ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ არსებული კორონა ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ ზღვისპირა სოფელი ვართ და მეტი ყურადღება გვჭირდება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უდიდესი მოწონება და სამადლობელი გამოვთქვა ქართველი მედიკოსების მისამართით, რომლებიც სიცოცხლის ფასად ცდილობენ ვირუსის დამარცხებას.

ბუთხუზ ხორავა,
მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ყულევში.

პროგრამას „დანერგე მომავალი“—ახალი კომპონენტი ემატება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მეწარმეობის განვითარების მხარდასაჭერად, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ქვეყანაში სახელმწიფო პროგრამები წლებია წარმატებით ხორციელდება. მათ შორის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს–პროგრამა „დანერგე მომავალი“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება ექსპორტი. გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

2018 წლის მაისში სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალში“, (რომელიც ითვალისწინებდა 0.5 ჰექტრიდან 50 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მრავალწლოვანი ბაღის გაშენებას (ნერგის ღირებულების თანადაფინანსება 70%, წვეთოვანი რწყვის სისტემის მოწყობა 50%) ცვლილებები შევიდა და ლურჯი მოცვის, მაყვლისა და ჟოლოს ინტენსიური ბაღების გაშენების მხარდასაჭერად ბაღების თანადაფინანსების კომპონენტს ახალი ქვეკომპონენტი–„კენკროვანი კულტურები“, დაემატა.

კენკროვანი კულტურები არის ის მიმართულება, რომელსაც მცირემიწიანი ფერმერებისთვის დიდი მოგების მოტანა შეუძლია. ანუ ფერმერი პატარა ფართობზე იმდენ მოსავალს იღებს, რომ ის კომერციულად მომგებიანიც იქნება. ამასთან ამ კულტურებზე მოთხოვნა როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზრებზე საკმაოდ დიდია. ასევე აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს რეგიონში ჭარბობს მჟავე ნიადაგები, რაც საკმაოდ ესადაგება კენკროვანი კულტურების გაშენების ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს.

პროგრამის პირობების თანახმად სახელმწიფო ბაღების გაშენებისთვის საჭირო ნერგებისა და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობას 100% დააფინანსებს. ამასთან, თითოეული ბენეფიციარის (ფიზიკური პირი) შემთხვევაში, ლურჯი მოცვის, მაყვლისა და ჟოლოს ბაღების მოცულობა უნდა იყოს 0.15 ჰექტრიდან 0.5 ჰექტრამდე და ამ ლიმიტს არ უნდა აჭარბებდეს. პროგრამა სრულად აფინანსებს როგორც ადგილობრივ ბაზარზე შეძენილ, ისე–იმპორტირებულ ნერგს. ასევე საჭიროების შემთხვევაში დაფინანსდება ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების ღირებულების 100%.

ფიზიკური პირებისგან შემდგარ სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს, რომლის მეპაიეებს ქვეკომპონენტის ფარგლებში საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე დაუფინანსდებათ ჯამურად არანაკლებ 5 ჰა კენკროვანი კულტურების ბაღები ერთ მუნიციპალიტეტში, ბაღის მსხმოიარობაში შესვლის პერიოდისთვის უსასყიდლოდ გადაეცემათ ერთი ერთეული მაცივარ-კონტეინერი, რომლის საშუალო ტევადობა იქნება 20 ტონა.

კენკროვნების ქვეკომპონენტით მოსარგებლე ბენეფიციარი გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. მას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, სადაც იგეგმება კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენება საკუთრებაში რეგისტრირებული უნდა ჰქონდეს 2018 წლის 29 მაისის ჩათვლით.

გამონაკლისი შეეხებათ იმ ადამიანებს, ვისაც მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით აქვთ მიღებული. ასევე ნაკვეთის მიმდებარედ უნდა არსებობდეს ელექტროენერგიისა და სარწყავი წყლის წყაროები. (არაუმეტეს 600 მეტრის მანძილზე) როგორიცაა სარწყავი არხი, მდინარე, ტბა, ჭა და სხვ).

ბენეფიციართა შერჩევის კიდევ ერთი კომპონენტი ტესტირებაა. როდესაც ფერმერი რეგისტრაციისათვის პირველად დოკუმენტაციას წარადგენს, ამის შემდეგ მას ჩაუტარდება სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ სპეციალისტების მონაწილეობით ტრენინგი, რომლის მიზანია ბენეფიციარმა მიიღოს სრული ინფორმაცია გასაშენებელი კულტურის მოვლის აგროტექნოლოგიური ღონისძიებების შესახებ.

დაფინანსებას მიიღებენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ტესტირებას, რომელსაც აფასებს ასევე ზემოთ აღნიშნული ცენტრი.

ხობის მუნიციპალიტეტში, ბოლო წლებში სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“-ს ფარგლებში 50 ჰამდე კენკროვანი კულტურების ბაღები გაშენდა. პოტენციური ბენეფიციარების მიერ ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში რეგისტრირებული განაცხადების მიხედვით დაგეგმილია კენკროვანი კულტურების ბაღების 150 ჰამდე გაზრდა.

პროგრამით სარგებლობის მსურველ პირებს პირველადი განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ 2020 წლის 1 ივნისიდან ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“–ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში. მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189, ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა, მე-3 სართული, ოთახი №303.

ასევე ბოლო სიახლეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება სახელმწიფო პროგრამას „დანერგე მომავალი“ დაფნის გაშენების კომპონენტი დაემატოს. „დაფნა საკმაოდ საინტერესო სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. საქართველო ამ კულტურის წარმოების ტრადიციები ჰქონდა, ქართული დაფნა ახალ ბაზრებზე შედის, იზრდება მისი ექსპორტიც. როგორც აღნიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

ქართული დაფნის ექსპორტი უკვე ხორციელდება როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ასევე ევროპის ქვეყნებში. კომერციული ბაღების გაშენების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამას „დანერგე მომავალი“ დაფნის კულტურის გაშენების თანადაფინანსებაც დაემატა“.

პროგრამის თაობაზე დეტალური ინფორმაცია უახლოესი დღეების განმავლობაში შეგიძლიათ იხილოთ ვებ. გვერდზე ARDA.GE ან ზემოთ აღნიშნულ მისამართზე .

ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი.

გაზაფხული შემოსულა, ლენ!

სიცოცხლის საწყისს–დედას და ღვთით კურთხეულ გრძნობას–დედაშვილობას ოდითგანვე უგალობს კაცობრიობა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ხალხი მუდამ ფაქიზად ექცეოდა და შარავანდედით მოსავდა დედის მშობლიურ ამაგს, მის სათნო სითბოს და სიყვარულს. სწორედ ამიტომ, ხალხის ბრძნული აზროვნება ყოველივე მასაზრდოებელს და მაცოცხლებელს დედას უწოდებდა. ქალზე, დედაზე იყო და არის დამოკიდებული სოცოცხლის მოცემა, გამრავლება, ადამიანთა მოდგმის გაგრძელება, რადგან თებერვალი ნაკიანი თვეა, სწორედ 3 მარტიდან იწყება გაზაფხულის პირველი დღე, როგორც ბუნებისა და კაცთა მოდგმაში სიცოცხლის საწყისის სიმბოლო.

ხალხის ბრძნულმა ფანტაზიამ საყვარელი დედის ღირსების ასამაღლებლად მრავალი გონებამახვილური თქმულება შექმნა. ერთ-ერთის მიხედვით, უზენაესმა სულმა რადიალუმ ქვეყნად პირველი მამაკაცის მუდმივ თანამოსაქმედ პირველი ქალიც შექმნა მაგრამ არა თიხისგან, არამედ ნაზ ბალახთა თრთოლის ლამაზ ყვავილთა ფერებისა და სურნელების, თაფლის სიტკბოს, ამაყი ჯეირანის ხედვის, ბრწყინვალე მზის ქარის სისწრაფის, მერცხლის ლაზათის, ალმასის სილამაზის და გვრიტის სინაზისგან.

იმ დღიდან, რაც კი ადამიანთა მოდგმაში კარგი და ძვირფასია, ლამაზი და მშვენიერია, დიადი და სათნოა, ბრწყინვალე და ტკბილია, დედისგან მომდინარეობს, რადგან იგი თავის არსში ბუნების სილამაზესა და მშვენიერებას მოიცავს და შთამომავლობას გადასცემს, ამიტომაცაა დედა უზენაესი მოვლენა კაცობრიობის გაჩენის დღიდან.

ხატი ჩვენი თაყვანისცემისა დედაა...

სწორედ დედაა ის მტკიცე ძაფი, რომელიც სამყაროსთან გვაკავშირებს, ხომ ჩვენზე ფიქრსა და ზრუნვაში გავლილი წლების ანარეკლია და ამიტომაც თითეული მათგანის ნაოჭის ღარი, სათუთია ჩვენთვის.

„ვიდრე დედა გყავს არ დაბერდებიო“–გვეუბნება ხალხური სიბრძნე და ჩვენი გულისთვის მშობელი დიდხანს, დიდხანს იცოცხლებს!

იცოცხლეთ დედებო!..

* * *

მარტის დღეებს მოგილოცავთ
ღიმილიანს, მადლიანს,
დედის საფლავს დაგილოცავთ
ცრემლიანს და დარდიანს.
ქვეყნად მშობელს–მკვდარს
თუ ცოცხალს,
ყველას შვილის დარდი აქვს,
ჰოდა, ყველას გაუმარჯოს,
ვისაც დედის ხათრი აქვს.

მზიანი გულით...

ამ ქალბატონზე მოკრძალებული და პატივსაცემი წერილი მინდა დავწერო, მაგრამ არ ვიცი გამომივა თუ არა. მოგეხსენებათ, რომ ცხოვრება ბრძოლაა, თუმცა მოტივაცია ამ ბრძოლაში გამარჯვებისთვის ყველას განსხვავებული აქვს. ზოგი იბრძვის სიმდიდრისთვის, ზოგიც–ძალაუფლებისთვის, მაგრამ, საბედნიეროდ, ყოველთვის არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც იბრძვიან სიკეთისთვის, მოყვასისთვის, უბრალოდ მოფერებისთვის, მათი ცხოვრების პრინციპია „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოვლისა მოსახვეჭელსა“.

ადამიანის ყველაზე დიდი სიმდიდრე ხომ საზოგადოების სიყვარული და აღიარებაა.

დიახ, არიან ასეთი ადამიანები და ორმაგად სასიხარულოა, ისინი უშუალოდ ჩვენს გვერდით თუ ცხოვრობენ, და შეგვიძლია მათგან ბევრი რამ ვისწავლოთ.

ნათელა ცხადაია, არაჩვეულებრივი ქართველი, ჩინებული „მეგრელი“ დამსახურებული პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, მარად მხნე და დაუღალავი, ულამაზესი ოჯახის დედაბოძი, კარგი დედა და ბებია, მეგობარი, მეზობელი, ჭკუის დამრიგებელი.

მიუხედავად იმისა, ქალბატონი ნათელა დინჯი და გაწონასწორებული ადამიანია, ემოციურობა და ბავშვური გრძნობელობაც ახასიათებს, არასოდეს დამავიწყდება მისი ტკბილი მრავალჟამიერი. სიმღერა და პოეზია მისთვის ყველაფერია. მასთან ყოველი შეხვედრა ჩემთვის დიდი პატივია.

ღმერთმა დაგლოცოთ მზიანი გულის ქალბატონო, მენატრებით, გილოცავთ გაზაფხულის კაშკაშა დღესასწაულებს.

გთხოვ, კიდევ ერთხელ „მიმღერე რამე“.

ექსპრომტად გიძღვნით...
როგორ მინდა მოვეფერო,
მაგ შენს ხელებს გაუხუნარს,
ყველა იმ ხალხს დაგილოცავ,
ვინც შენს სიცოცხლეზე ზრუნავს.
გაიხარე, იდღეგრძელე, ღმერთმა
მოგცეს სიჯანმრთელე.

ნაირა ბერაია

გაზაფხულის მობრძანებას გილოცავთ, ქალბატონებო!

რახანია გაზაფხული დადგა... ფირუზისთვალება მარტმა ეშმაკურად მიმოაბნია არემარეს ია ენძელებისა და ყოჩივარდების კონები. კიდევ ერთი გაზაფხული ეწვია ხალხს, თავი ამოყო ლორთქო ბალახმა. ეს იმას ნიშნავს, რომ, წამოვიდნენ პირველი ნაკადულები.

წელიწადის უმშვენიერესი დრო მობრძანდება თავისი სილამაზით, სინაზით და ახალი სიცოცხლით. მას თან სდევს მრავალი დღე, მრავალი წამი, რომელიც დასაბამს აძლევს ჩვენი გულების გახარებასა და გახალისებას. ეს დღეები ჩვენს გულებში თითქოს ვარდის კოკორივით იფურჩქნება და ცდილობს მთელი სული, მთელი სხეული უჩვეულოდ ააფორიაქოს და სულ მალე დაიპყროს. ეს ის ვარდის კოკორია, რომელიც ხშირად პირველი გაზაფხულის მახარობელი ხდება ხოლმე.

გაზაფხული მობრძანდება... მოაქვს ნანატრი სითბო და ამღერებული სიცოცხლე...

გაზაფხული ხომ ლამაზი ყვავილების ხანაა. ეს ის დროა, როდესაც ყვავილების მოზღვავებული ენერგია ერთხმად აბობოქრებას ლამობს. ცდილობს თავისი სილამაზე მოჰფინოს დედამიწას, გადაეკრას მინდვრებს, მთებს, ზვრებს, ეს პროცესი ხომ გაზაფხულის გარეშე შეუძლებელია.

სწორედ გაზაფხულზე, თქვენსავით მშვენიერ დროს, ძვირფასო დედებო, დებო, ბებიებო, დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დედის დღესა და რვა მარტს... გისურვებთ გაზაფხულივით ლამაზ ცხოვრებას, გამრავლებას და ლამაზი ოცნების ასრულებას.

ქალი ცხოვრების გვირგვინია, არსებაა კალთანაკურთხი, სათუთი, ნაზი, გულისხმიერი, ხშირად ქვეყნის საზრუნავით დატვირთული, მაგრამ მაინც ძლიერი და მხიარული. ზოგჯერ დუხჭირი ცხოვრებით გაწამებული, მაგრამ მაინც ბედნიერი, ამაყი.

ქალი და დედა... მომავლის ძლიერი ღერძი, ჩვენი ცხოვრების ეშხი, მშვენება. დედა... სისპეტაკისა და უბიწოების ეტალონი, ხშირად ღამენათევი, უძილობითა და შვილებზე დარდით დაღლილი, მაგრამ ქედმოუხრელი, გაუტეხელი.

ამ ლამაზი სიტყვებით მინდა მოვულოცო გაზაფხულის შემობრძანება დამსახურებულ ქალბატონს, რომელიც 35 წელი ემსახურა ხობსა, ხობელებს და გააჩნია უდიდესი სიყვარული და სითბო ყველას მიმართ. ქალბატონს, რომელსაც ყველასთვის გაუწვდენია დახმარების ხელი, დამსახურებულ ნოტარიუსს ზაირა (მზია) კუტალიას,–საუკეთესო დედას და ბებიას, იგი წლების განმავლობაში თანამშრომლებისთვის (და არა მარტო) იყო მეგობარი და კარგი მასწავლებელი.

მადლიერ პაციენტთა სახელით დედის დღესა და რვა მარტს ვულოცავ ხობელ მედპერსონალს, ქალბატონებს თამარ მხეიძეს, ნათელა ჯიჯელავას, ირინა ბერაიას, ლეილა ბუკიას.

ძვირფასო ქალბატონებო, მრავალ წელს ყოფილიყავით ასე შემართებით. დიდხანს იცოცხლეთ....

შორენა თოდუა.

დედა!

ვუძღვნი ჰირველი მაისის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ტაძრის მამაო ჯახაბერ სურმავას აწგანსვენებული დედის, ქალბატონ გული ჯალაღონიას ხსოვნას.

ო, რამდენი გალოდინე,
შორს ვიყავი მუდამ შენგან,
სული ჩემი მობოგინე!
დაგეძებდა მუდამ, დედა!
ის, ადგილი გაყინული,
არასოდეს რომ არ თბება,
ის ჯივილი განწირული!
ყრუ ტყივილად დარჩეს „დედა“
ის, წარსული ზღვარს გასული,
ვეღარ ჯურნავს უღვთო სევდას,
შენ, ამ ქვეყნად ჯვარსგაჯრული!
ჯვარსგაჯრულო, იქაც დედა!
დედას ასაჯს არ უთვლიან,
ღვთისმშობლისგან მოგვდევს
ასე,
რამდენ დროჟამს ჩაუვლია,
ვინ, თქვას დედის სილამაზე.
დედის ალერსს ვერვინ
შეცვლის,
არც მიწით და ალარც ზეცით,
დედასავით ერთადერთი,
აქ, სამშობლო, მაღლა
ღმერთი!
დრო გასულა უსაშველო,
ისევ შენ თუ უშველი,
ცრემლით სველი სახელო,
და მუდარა უთქმელი,
მეწყერივით მოვარდება,
და ყველაფერს წალეკავს,
ჯავრად მუდამ დამსდევდა,
როცა ჟამი დარეკავს!
ისევ მოვალ, შენს ჯალთებს,
გულში ჩავეხუტები,
გავიქარვებ ძველ დარდებს,
თუ არ გამებუტები!
დრო ჯი მიქრის როგორც
ფიქრი,
მასთან ერთად ვბერდებით.
გაფრენილან როგორც ფიფქი.
მარად ნორჩი დედები!

ბადრი ლომაია.

საბედნიეროდ, საქართველოს არასდროს აკლდა ნაღდი მამულიშვილები, განათლებული, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანები და შესაბამისად მათ სინაკლებეს ჩვენი მუნიციპალიტეტიც არასდროს განიცდა...

„წარმატებული სკოლის წარმატებული დირექტორი"–ასე წარადგენენ საზოგადოებაში პირველი მაისის ესტატე შუშანიას სახელობის საჯარო სკოლის დირექტორს, მრავალმხრივ განათლებულ ბატონ კობა კვიკვინიას. იგი მხოლოდ 47 წლისაა და უკვე მოასწრო დაემსახურებინა ასეთი შეფასება.

სურვილი გვქონდა მისი ცხოვრების გზა, მიღწეული წარმატებები გაგვეცნო მკითხველისთვის. შევეხმიანეთ, ვთხოვეთ თავად მოეთხრო მის მიერ განვლილ გზაზე. მან კი ესსე გამოგვიგზავნა, გააცოცხლა და მოგვაგონა ის ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ ეპოქას. ახალგაზრდებს მისცა მაგალითი, როგორ უნდა იშრომო, როგორ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, რას ნიშნავს იყო გადაგებული შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებზე და, რაც მთავარია, რა მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდას, ვინ არის აღმზრდელი, მაგალითი იმისა, რა გზას დაადგე და ვინ გყავდეს მანათობელ შუქურად. ამიტომ გადავწყვიტეთ მის მიერ გამოგზავნილი ესსე უცვლელად დავბეჭდოთ მცირეოდენი შემცირებით (გაზეთის ფორმატის გამო) იმის რწმენით, რომ ჩემი თაობის ადამიანები სიამოვნებით წაიკითხავენ და მოეფერებიან იმ ადამიანთა სახელ-გვარებს, ვისაც ბატონი კობა იხსენებს, რადგან მათ მხრებზე დგას ჩვენი მუნიციპალიტეტის დღევანდელობა.

მერი ლაგვილავა

ერის სიყვარულით გულანთებული

პირველი წლები... საბავშვო ბაღი...

დავბადებულვარ 1973 წლის თებერვლის 25-ში, რუსეთში, ქალაქ როსტოვში. ოთხი წლის ასაკში ჩამოვუყვანივართ საქართველოში.

პირველი მაისის საბავშვო ბაღის აღსაზრდელი ვიყავი და კარგად მახსოვს ჩემი აღმზრდელი მასწავლებლები–მავლინა გაბისონია და ფირუზა კვარაცხელია, სიმღერის მასწავლებელი–ქალბატონი ია ჩიტია, ბაღის გამგე–აწგანსვენებული დიდებული ქალბატონი–ციცო კვარაცხელია.

საბავშვო ბაღის წლებიდან ფრაგმენტულად მახსენდება ეპიზოდები, რომლის გახსენებაც ზოგჯერ ღიმილისმომგვრელიცაა. მაგალითად, მაგონდება გუნდებად დაყოფილი ბავშვები როგორ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს „კულინარიაში". თამაშის ბოლო ნაწილი „ქორწილს" ეთმობოდა. ბავშვები ირჩევდნენ მეფე-დედოფალს და ასე გადიოდა დრო...

და კიდევ ერთი, მძიმედ მოსაგონარი, სახელი მახსენდება საბავშვო ბაღიდან–ინგა ჯობავა, რომელიც 5 წლის ასაკში ტრაგიკულად გარდაიცვალა...

სკოლა...

1979 წელი... 1 სექტემბერი... დიდი მღელვარება ხობის პირველ საშუალო სკოლაში... ძველი სკოლის კიბეებთან „ტრიბუნად" მიჩნეულ ადგილზე ერთმანეთს ენაცვლებიან პედაგოგები, თეთრწინსაფრიანბაფთიანი გოგონები და მკაცრად კოსტუმირებული ვაჟები... სკოლის დირექტორი–ალექსანდრა (საშა) ბერაია... სასწავლო ნაწილის გამგე - ლამარა ბუსქანძე... ბოლოს ჩვენი დროც დადგა... გულისფანცქალით კიბეებზე ასულმა ხალხს მაღლიდან რომ გადავხედე–სხვა სამყარო დავინახე თითქოს... პირველად მიწევდა ლექსის თქმა ამხელა აუდიტორიის წინაშე... მანიშნეს–დაიწყეო და მეც თამამად დავიწყე ცნობილი ლექსი, რომლის დაბოლოებაც ასეთია:

„პატარა რომ ვიყავი, განა ისევ ისა ვარ?! –სულ ხუთებზე ვისწავლი, ჩემს დედიკოს ვფიცავარ!"

დაიწყო პირველი გაკვეთილი... ჩემი პირველი მასწავლებელი–მარო წურწუმია ძალიან თბილი ადამიანი აღმოჩნდა... მოსამზადებელი კლასის დასრულების შემდეგ მეოთხე კლასამდე უკვე ქალბატონი ნელი ბერაია გვხელმძღვანელობდა... ასევე დიდებული ადამიანი...

მყავდა არაჩვეულებრივი კლასელები, მათ შორის გამოვარჩევდი ზოია სიორდიას, რომელთანაც ერთად 11 წელი ერთ მერხთან ვიჯექი და არასდროს არა თუ კონფლიქტი, წაკამათების მცდელობაც არ მქონია...

გვასწავლიდნენ შესანიშნავი ადამიანები: დამრიგებელი–ლუიზა ხასია, ადა შელია, ლიანა ჩაჩიბაია, ნინელი ხარებავა, მედეა გაბუნია, დოდონა აბშილავა, მზეონა კვარაცხელია, მზია სირაძე, მანონი ცქირია, ინეზა წურწუმია, ლუიზა დიდიშვილი, ამალია სასანია, თამრიკო კიტია, თამრიკო ბაძაღუა, ქეთინო ალასანია; ბატონები–შალვა ხარებავა, მიშა დანელია, ჟორჟი ხასია, აბდული ლუკავა, ლემზარ გაბელია, ამირან ვეკუა, სერგო ალანია, ანზორ კაკაბაძე, რევაზ ბერაია...

მასწავლებლები...

ვთვლი, რომ სკოლაში და სკოლის გარეთ არაერთი ღირსეული ადამიანი შემხვდა... ვისაც ჩემი ბავშვობისდროინდელი კალიგრაფია უნახავს, ბევრი კომპლიმენტი მიმიღია მათგან... მიმაჩნია, რომ კალიგრაფიული წერის შთაგონება პიონერთხელმძღვანელ ნანა ნანეიშვილისგან მივიღე... იმდენად სასიამოვნო იყო ჩემთვის პიონერთა ოთახში შესვლა და ქალბატონი ნანას ულამაზესი კალიგრაფიული ნამუშევრების შეხედვა, რომ სხვა საგნები, რომელიც იქ განთავსებული იყო, მეათეხარისხოვნად მიმაჩნდა... წერის კულტურას დიდ დროს ვუთმობდი... ყველა საგანში ჯერ „შავად" ვწერდი დავალებას, შემდეგ კი „ვათეთრებდი"... საშინაო დავალების რვეულში ყოველი გადასწორებული ასო ჩემთვის ტრაგედია იყო...

სკოლაში სიარულთან ერთად ჭადრაკის სექციაზე სიარული მოვთხოვე დედას... აღმოჩნდა, რომ პიონერთა სახლში შესანიშნავი ხობელი კაცი–ბადრი ლომაია ხელმძღვანელობდა ამ საქმეს... მახსოვს–იმ დროს დიდი საჭადრაკო ძალით გამოირჩეოდნენ ჩემზე უფროსი მოსწავლეები–დათო ხარებავა, ბესო ნაჭყებია, ინგა კორშია, მალხაზ იოსავა, დათო ქირია..

უკვე მომდევნო სასწავლო წელს კი პიონერთა სახლმა სენაკიდან საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მიხეილ ქურდოვანიძე მოიწვია... ბატონი მიშა ასაკში იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია–დიდი სიყვარული დაეთესა ხობელებში... მახსოვს პირველი ტურნირები სამტრედიაში... დამარცხებით გამოწვეული პირველი განცდები და გამარჯვებით გამოწვეული სიხარული...

ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა მიშამ ახალგაზრდა კაცი წარმოგვიდგინა,–ეს კაცი ღირსეულად შემცვლისო. დავბერდი, მიჭირს უკვე სიარული და მინდა ესტაფეტა ამ ნიჭიერ ახალგაზრდას გადავცეო... ეს ახალგაზრდა კაცი ირაკლი (მამუკა) გეთია იყო, რომელიც აგერ უკვე 35 წელია ხობის და ხობელი მოჭადრაკე ბავშვების სამსახურშია...

ჩემი საჭადრაკო წარმატებები ინდივიდუალურ ჩემპიონატებში ხობის მასშტაბს მოიცავდა მხოლოდ... ვიყავი რაიონის და სკოლის მრავალგზის ჩემპიონი... რაც შეეხება გუნდურ ჩემპიონატებს–აქ გაცილებით წარმატებული შედეგები მქონდა... ვანში გამართულ საკავშირო მასშტაბის ტურნირზე ხობელებმა მესამე გუნდური ადგილი დავიკავეთ (ლაშა შამათავა, დათო ქირია, კობა კვიკვინია, ლელა შამათავა), მე კი მესამე დაფაზე 9 შესაძლებლიდან 8 ქულა შევძინე გუნდს და ჩემს დაფაზე მეორე ადგილი დავიკავე და პრიზად ულამაზესი ლარნაკი გადმომცეს... მესამე ადგილი მხვდა დაფაზე ჩოხატაურშიც, მოსწავლეთა სპარტაკიადაზე, ვანში–„თეთრი ეტლის პრიზზე"... ამ წარმატებებმა განაპირობა ის, რომ მომენიჭა პირველი თანრიგი...

სცენა...

შეიძლება ითქვას, რომ ხობის კულტურის სახლის სცენაზე გავიზარდე... პატარაობიდანვე ყურადღება მომაქცია შესანიშნავმა ქალბატონმა მედიკო ნაჭყებიამ და მას მერე ყველა ღონისძიებაში მონაწილეობა თითქოს ჩემი ვალდებულება გახდა... ვკითხულობდი მხატვრულად... ყოველი შემთხვევისთვის ასე მეგონა, სანამ ასევე შესანიშნავი ქალბატონი–ლუდმილა დოლბაია არ ჩაერთო საქმეში... დაუვიწყარია მისი მასტერკლასები... საათობით ცდილობდა დაეხვეწა ჩვენი მეტყველება... ქართულში, როგორც წესი, წერისას მახვილი არ დაისმის, თუმცა პირველად გავიგონე, რომ ქართული სიტყვის სწორად წარმოსათქმელად სიტყვის პირველ მარცვალზე საჭირო იყო მახვილი! ქალბატონ ლუდმილასთან „მხატვრული კითხვის გამოცდის" ჩაბარების შემდეგ უკვე ქალბატონ მედიკოსთან გვიწევდა „საცერში გატარება"... შედეგად ყველა ღონისძიება იყო მაღალი ხარისხის..

ამ ყველაფრის გამო მთელი სასკოლო წლების განმავლობაში მიწევდა გამოსვლები ალიო მირცხულავას სახლ-მუზეუმში, ხეთის შინმოუსვლელთა სახლში, კულტურის სახლის დიდ თუ მცირე დარბაზში, ხობის საცურაო სპორტულ კომპლექსში... ჩემ გვერდით იდგნენ შესანიშნავი მკითხველები–გელა მურღულია, ნონა ნაჭყებია, ანა ბენიძე, ნუგა გერგაია, ლევან ქავთარაძე, მახარე ბუკია (ახლა–მამა მიქაელი), ლაშა კუტალია...

მუსიკა ჩემს ცხოვრებაში...

მოსამზადებელ კლასს ვამთავრებდით, როცა გავიგე, რომ ჩემი რამდენიმე კლასელი სამუსიკო სკოლაში მისაღები გამოცდებისთვის ემზადებოდა... საშველი არ მივეცი დედას... ჭადრაკი კარგია, მაგრამ მუსიკაც მინდა მეთქი... მახსოვს, ქალბატონ ია ჩიტიასთან მიმიყვანა... აბსოლუტური სმენა აქვსო–„დიაგნოზი დამისვა" ქალბატონმა იამ... ვღელავდი გამოცდაზე, მაგრამ ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა... სამუსიკო სკოლაში ჩემი პირველი მასწავლებელი ფორტეპიანოს სპეციალობის განხრით იყო ფოთელი ქალბატონი–ჟანა ნიკიფოროვა... სოლფეჯიო–სენაკელი ლიანა სიჭინავა. გუნდი–ქალბატონი ნანული კორტავა...

მეორე კლასიდან სკოლის დირექტორი–ქალბატონი ნათელა მარგველაშვილი მასწავლიდა სპეციალობას... ქალბატონი ნათელა დღემდე დაუღალავად შრომობს და როგორც პედაგოგი–ემსახურება ხობს და ხობელებს...

სხვადასხვა წლებში სამუსიკო სკოლაში მასწავლიდნენ: ქალბატონები–ლამზირა ხურცია, მაია კუჭავა, დოდო ბაძაღუა... ჩათვლებს იბარებდნენ–ნაზი ბერაია, ია ჩიტია, დალი შეროზია...

მეხუთე კლასის ჩათვლით ჩემი ფოტო ფრიადოსნების დაფაზე ეკიდა, მაგრამ შემდეგ... ძალიან მინდა გიამბოთ–რა მოხდა შემდეგ... სკოლაში, გაკვეთილების მერე ჩემი კლასელი ბიჭები ვეჯიბრებოდით სხვა კლასელებს–კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ვღალატობდი კლასს. დაიწყო კონფლიქტი. ვაცდენდი. სიტყვიერი. შესაბამისად დღიურში იწერებოდა–„არ იცოდა გაკვეთილი... მენუეტი–სუსტია, ეტიუდი–არ გაურჩევია, სონატა–ძალიან სუსტია, პიესა–არ იცის! მოვიდეს მშობელი!"

მეშვიდე კლასში უკვე ისევ აღმავლობა მქონდა. მონაწილეობა მიმიღია საფორტეპიანო კუთხით ხობის სამუსიკო სკოლის დათვალიერებებში, სადაც კვალიფიციურ ჟიურის საშუალება ჰქონდა მოესმინა ხობელი ბავშვების შესრულება.

რაც შეეხება სიმღერას. პირველი კლასიდან ვმღეროდი სამუსიკო სკოლის გაერთიანებულ გუნდში.

უნდა აღვნიშნო ერთი საინტერესო ფაქტი–არა მგონია ჩემამდე ან ჩემ შემდეგ ხობის სამუსიკო სკოლის ერთ კლასში ყოფილიყო ამდენი ბიჭი (ლევან ქავთარაძე, გელა ბუკია, მერაბი ბუკია, ვალერი ალექსანდრია, კახი პაჭკორია, კობა კვიკვინია)... რატომღაც სტერეოტიპი იყო და არის, რომ სამუსიკო სკოლაში ბიჭებს არაფერი ესაქმებათ...

მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო, რომელიც უკავშირდება შესანიშნავ სენაკელ ლოტბარს და სასკოლო გუნდის ხელმძღვანელ პანტე ბოჯგუას, რომელიც სკოლის გუნდს ხელმძღვანელობდა და რომელსაც გამორჩეულად ვუყვარდი...

ვზივარ ბოლო საატესტატო, რუსულის გამოცდაზე მოსაფიქრებელში... ვნერვიულობ... კომისიის თავმჯდომარეა ქალბატონი ლამარა ბუსქანძე... ვხედავ, რომ ლამარა ვლადიმიროვნა მაღალი მზაობის მოსწავლეებისგან ბილეთს ზემოთ ითხოვს კლასგარეშე რომელიმე ლექსის ცოდნას... ვიხსენებ ისეთ ლექსს, რომელიც არ უნდა შემეშალოს! ასეთ განცდებში ვარ... იღება კარი და უცხო მამაკაცი ჩემს სახელს კითხულობს... თქვენს სახელზე დეპეშააო... ვერაფერი მოვიფიქრე... შეცდომაა ალბათთქო... უკვე გამოცდაზე საპასუხოდ გასვლა მიწევდა... გავედი... ვუპასუხე ბილეთის საკითხებს... წავიკითხე უშეცდომოდ ლექსიც, მაგრამ ერთი სული მქონდა მენახა–რა ეწერა დეპეშაში... გავხსენი და... „კობა კვიკვინიას მეთაურობით, მე-11 კლასელებო, გილოცავთ სკოლის დამთავრებას... გისურვებთ ბედნიერ მომავალს... პატივისცემით, პანტე ბოჯგუა პოლონეთიდან"...

ბოლო გამოცდის მშვიდობიანად დასრულების შემდეგ ეს დეპეშა ნამდვილად მალამო იყო ჩემთვის! მაშინ დავფიქრდი, თუ რას ნიშნავს, როცა მასწავლებელი ზემოდან არ გიყურებს... პატივს გცემს და უყვარხარ... ამ დეპეშას საგულდაგულოდ ვინახავ დღესაც... იმიტომ, რომ ის ადამიანი, როცა ამ ტექსტს ადგენდა, ჩემზე ფიქრობდა... ჩემს გახარებას ცდილობდა... და მიაღწია მიზანს! დღესაც ჟურუნტელი მივლის, რომ ვიხსენებ ამ ამბავს და ვხედავ იმ დეპეშას! ზოგჯერ ძალიან მცირე ყურადღებაც კი ბადებს ბედნიერების განცდას!

პოეზია და სიმღერების ავტორობა...

ჩემი სტუდენტობის წლები არეულობის წლებს დაემთხვა...

ძალიან ადვილად ვართმევდი თავს სტუდენტურ დავალებებს და უამრავი დრო მრჩებოდა. არაერთი ლექსი და სიმღერა შევქმენი... სიმღერები ამა თუ იმ ღონისძიებაზე შემისრულებია... ლექსები კი არსად გამომიქვეყნებია...

რამდენიმე სიმღერის სანოტო ჩანაწერის გაკეთებასა და დახვეწაში დამეხმარა შესანიშნავი ახალგაზრდა ქალბატონი, კონსერვატორიის კურსდამთავრებული–ეკა ბარნაბიშვილი, რომლის მიმართ მადლიერი ვარ დღესაც.

რამდენიმე სიმღერა კომპოზიტორთა სახლში მოვასმენინე შესანიშნავ კომპოზიტორებს–ვაჟა აზარაშვილსა და კახა ცაბაძეს... ჩემთვის დიდი პატივი იყო ბატონი ვაჟას მხრიდან შემოთავაზება კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტზე უგამოცდოდ ჩარიცხვაზე, მაგრამ უკვე ორი დიპლომი მქონდა, წუთიწუთზე ოჯახს უნდა მოვკიდებოდი და ამ მიმართულებით გზა აღარ გავაგრძელე... თუმცა ეს შემოთავაზება ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო...

განათლება და სამუშაო გამოცდილება.

წარჩინებით დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით „ფინანსები და კრედიტი" ამავე სპეციალობის ასპირანტურა, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი...

ვკითხულობდი ლექციებს რამდენიმე კერძო უმაღლეს სასწავლებელსა და კოლეჯში...

2011 წლიდან ვარ სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორი. 2014 წლიდან არჩეული ვარ სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ.

2013 წლიდან ვარ სერტიფიცირებული მასწავლებელი მათემატი-

6

კაში;

2019 წელს მომენიჭა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი...

თემო...

თემურაზ კვიკვინიას საჭადრაკო მიღწევები:

საქართველოს ჩემპიონი 7-8 წლამდე ჭაბუკთა შორის;

საქართველოს ვიცე-ჩემპიონი 12-წლამდე ჭაბუკთა შორის;

საქართველოს სასკოლო ჩემპიონატის მესამეადგილოსანი 11 წლამდე ჭაბუკთა შორის;

ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში 10 წლამდე ჭაბუკთა შორის;

საქართველოს ვიცე-ჩემპიონი სწრაფ ჭადრაკში 14 წლამდე ჭაბუკთა შორის;

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მრავალგზის ჩემპიონი–7,8, 12, 14, 16 წლამდე ჭაბუკთა კატეგორიაში;

მრავალი საერთაშორისო, რესპუბლიკური თუ რეგიონალური ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი...

თემოს პირველი სვლები მე შევასწავლე... ერთხელ მამუკა მასწავლებელთან ანასთან ერთად თემოც მყავდა მიყვანილი... თემო მაშინ 5 წლისაც არ იყო... ბატონი მამუკა თურმე აკვირდებოდა თემოს ქცევებს და წამოსვლისას მითხრა–„საბავშვო ბაღებში დავდიოდი, ვეძებდი ბავშვებს და ამდენ ხანს რომ საჭადრაკო დაფასთან იჯდეს ისეთ ბავშვს ვერ მივაგენი და მომიყვანე ეს ბავშვი, საინტერესოდ მეჩვენებაო“...

ხუთი წლის ასაკში სკოლაში შევიყვანეთ. ყველაფერს მშვენივრად ასწრებდა... სკოლაში თემოს თავის საჭადრაკო ცოდნას ბატონი გრიშა ხიმშიაშვილიც უზიარებდა...

თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა მზადების მხრივ, მაგრამ მოხდა ისეთი რამ, რამაც თემოს საჭადრაკო მომავალი უფრო თვალნათელი გახადა... პირველივე ოფიციალურ ტურნირებზე მან საოცარი თვისებები გამოავლინა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დამწყები მოჭადრაკეებისთვის დამახასიათებელია ე.წ. „ფიგურების დასმა“, „ჩუქება“... თემო არავის არაფერს ჩუქნიდა... იჯდა ყურადღებით, ფხიზლად და სრულად აკონტროლებდა „საომარ სივრცეს“...

თემოს წარმატებებში წვლილი მიუძღვით–უკვე არაერთგზის ნახსენებ ირაკლი (მამუკა) გეთიას, ზუგდიდელ მწვრთნელებს–მადონა ბოკუჩავას (მეორედ საქართველოს ჩემპიონობა ამ ადამიანის დამსახურებაა!) და გოჩა თორიას, ამჟამინდელ მწვრთნელ გოჩა ჩაჩუას...

თემო საჭადრაკო წარმატებებთან ერთად წარმატებულია სკოლაშიც, თუმცა არც მისთვის და არც პედაგოგებისთვის არაა მარტივი მის არეულ რეჟიმთან თანაარსებობა.

ანას საჭადრაკო წარმატებები:

სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონი 10 წლამდე გოგონათა შორის;

საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალ „შავი ზღვის დელფინი“-ს გამარჯვებული 10 წლამდე გოგონათა შორის;

მრავალი რესპუბლიკური თუ რეგიონალური ტურნირების პრიზიორი.

2019 წელი ძალიან ნაყოფიერი იყო მისთვის. გაიმარჯვა ზეპირი მათემატიკური ანგარიშის რესპუბლიკურ კონკურსზე „მიქსიკე-პრანგლიმინე“ მე-7-მე-12 კლასელ გოგონათა შორის. მოგვიანებით კი საქართველოს ღირსებას იცავდა ესტონეთის ქალაქ კილინგი-ნიომეში საერთაშორისო ფინალში.

ანამ დაამთავრა ხობის სამუსიკო სკოლა. ნიშანდობლივია, რომ მისი პედაგოგი ქალბატონი ნათელა მარგველაშვილი იყო. ანას განსაკუთრებულად უყვარს სიმღერა. მას არაჩვეულებრივი გიტარისტის, ლაშა კვიკვინიას ბენდში ეძლევა თავისი სასიმღერო ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა.

2019 წელს ანას დაწერილმა თემამ ბულინგის თემაზე „როცა წაგება ბადებს აგრესიას“ სოციალურ გვერდზე „ლიბერალი“ მკითხველთა უდიდესი რაოდენობით გამარჯვება მოიპოვა, რითაც თავისი ბიბლიოთეკა 300-ლარის მხატვრული ლიტერატურით გაიმდიდრა.

ძალიან აქტიურია ანა საზოგადოებრივ საქმიანობაში. მან შარშან პორტბელური კომპიუტერი მიიღო ჯილდოდ საბაზო საფეხურის წარჩინებით დამთავრებისთვის.

დედა–ლუიზა ფირცხელავა

დედებს, როგორც წესი, ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით შვილების წარმატებებში. დიდება უფალს, რომ განათლებაზე და წარმატებაზე ორიენტირებული დედა მარგუნა. ის პროფესიით მედდაა და წლების განმავლობაში ხობის რაიონულ საავადმყოფოში იმუშავა, ამჟამად კი პენსიონერია.

მახსოვს, რამდენად მოწადინებული იყო დედა, რომ კარგად მესწავლა... . მის ამაგს ახლა უფრო ვაფასებ. ბავშვობაში მყარად ნასწავლი მთელი ცხოვრება გვამახსოვრდება.

მამიდა–ეთერი კვიკვინია

შეიძლება ითქვას–მეორე დედა იყო ჩემთვის და ამით ყველაფერია ნათქვამი. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ჩვენი ოჯახი დასვენებას დროს ვერ უთმობდა ეთერი მამიდას ყოველთვის ჰქონდა დასასვენებლად დანაზოგი, რომელსაც უშურველად ხარჯავდა ჩვენი სიამოვნებისთვის. იყო საკმაოდ მკაცრი, მაგრამ შინაგანად ძალიან კეთილი... მისი ხსოვნა ჩემშია სამარადჟამოდ...

ორმოცდაათი წლის განმავლობაში იგი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას... უყვარდა ნიჭიერ მოსწავლეებთან მუშაობა, ამაყობდა მათი წარმატებებით... მახსოვს, როგორ მუშაობდა საკუთარ თავზე... გამოწერილი ჰქონდა მათემატიკური ჟურნალ-გაზეთები და სისტემატურად ამუშავებდა ამოცანებს

მამა–თემური კვიკვინია

მამით ვამაყობ იმდენად, რამდენადაც მეწარმეობის სურვილი ჰქონდა და აისრულა, რითაც არა მხოლოდ ჩვენი ოჯახის მარჩენალი გახდა, არამედ–სხვა, ძალიან ბევრი ადამიანის.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი რამ, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს არ ჰქონდა სიდუხჭირე, მამისგან მხარდაჭერას ვგრძნობდი მხოლოდ განათლების მიღების საკითხში... არანაირი „ჩაწყობა“! იმ წლების საქართველოში ამ ფსიქოლოგიის ადამიანს ნაკლებად შეხვდებოდით.

და–ბაია კვიკვინია

ერთადერთი და მყავს, სათნო და კეთილშობილი... თბილისის 117-ე საჯარო სკოლის პედაგოგი. ბაიამაც დაამთავრა სამუსიკო სკოლა, არის კარგი მეუღლე და ორი ვაჟკაცის დედა. ისე მოხდა, რომ საბოლოოდ ორივენი მამიდას პროფესიის სამსახურში აღმოვჩნდით... როგორც ეთერი მამიდას არ შეეძლო ზერელე მიდგომა სწავლებისადმი, სწორედ ეს დამოკიდებულება აქვს ბაიასაც...

მეუღლე–ფატი ქირია

2003 წლის ბოლოს დავქორწინდი. ფატის თსუ-ს ბიოლოგიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. ამჟამად იგი პირველი მაისის საჯარო სკოლის საინფორმაციო მენეჯერის შტატზე მუშაობს.

მეუღლეზე რა შეიძლება თქვას ადამიანმა... მადლიერი ვარ მისი... თემოს წარმატებები ასეთი ვერ იქნებოდა, რომ არა ფატის თანადგომა და ბრძოლისუნარიანობის მაღალი ხარისხი... ფატის გათავისებული აქვს ის, რომ ნიჭს უნდა ხელშეწყობა და დედა-შვილობასაც წინ არაფერი დაუდგება!

კობა კვიკვინია

გინდა სიცოცხლე? აცოცხლე მცენარე!

კეთილშობილი დაფნა

სიტყვა „კეთილშობილი“ ღრმად ტევადი და სიკეთის მკეთებლად დაბადებულს ნიშნავს. რითი დაიმსახურა ეს უმაღლესი ეპითეტი დაფნამ და რითი გამოირჩევა იგი სხვა ხმელთაშუა ზღვის ტენიანი სუბტროპიკის მარადმწვანე მცენარეებისგან?

გარეგნული ეფექტი–ბუჩქის და ფოთლების განუმეორებელი სილამაზე, ტოტებზე ფოთლების წყობა, ფოთლების ბრწყინვალება, სასიამოვნო სურნელება, ტოტების აბსოლუტური დრეკადობა და ნებისმიერი სახით ფორმირება. ამათმა ერთობლიობამ განაპირობა უძველეს ელადაში (საბერძნეთში) გამართულ ოლიმპიადაზე გამარჯვებულთა დაფნის გვირგვნით დაჯილდოება.

დაფნა გამოიჩევა ფიზიკური მახასიათებლებითაც–არის გვალვა და ყინვაგამძლე, ვერას აკლებს ქარი, აქვს ძალიან ძლიერი ფესვთა სისტემა.

დაფნა მრავლდება–თესლით, ნერგით, ბუჩქის გაყოფით, გადაწვენით, ფესვებიდან ამონაყრებით, კალმით, მყნობით.

თესლით გამრავლებისთვის პირველ რიგში უნდა გამოვავლინოთ მეთესლე ე.წ. „მეკაკალე“ დაფნა, ამისთვის–მოუჭრელი უნდა დავტოვოთ 15-20 ძირი ბუჩქიდან თითო თითო ყველაზე ძლიერი ტოტი, დანარჩენი შევაჭრათ ძირში. 2-3 წლის შემდეგ რამდენიმე მათგანი გამოისხამს ნაყოფს (კაკალს). მონიშნულ ძირებს სისტემატურად მოვაშოროთ ამონაყრები, რითაც ბუჩქს ვაქცევთ ხედ. შემოდგომაზე ჩამოცვენილი სათესლე კაკალი უნდა იყოს საღი–სრული, შავად მბზინავი (აუცილებლად), მკვრივი. ვაგროვებთ, ვაშრობთ მათ ჩრდილში დავინახავთ გაზაფხულამდე.

ითესება ჰაერის +18–20 გრადუსამდე მიღწევის შემდეგ, სანერგეში ან პირდაპირ საპლანტაციედ მომზადებულ ნიადაგზე, დათესვამდე თესლს ვათავსებთ სპეციალურ გასაღვივებელ ხსნარში–24–48 საათის განმავლობაში. სანერგეში თესლების დაშორება უნდა იყოს 8–10 სანტიმეტრი, საპლანტაციე ფართობზე 50–100 სმ. დათესვიდან მეორე–მესამე დღეს ნაადაგზე ვასხურებთ ჰერბიციდ–სტომპს.

გადაწვენით, კალმით გამრავლება და ნერგების დარგვა ხდება აპრობირებული წესით. (რაზედაც წინა სტატიაში გვქონდა საუბარი). ნერგს დარგვის წინ 12–24 საათის განმავლობაში ვათავსებთ სპეციალურ ხსნარში.

დაფნა ჩვენს მუნიციპალიტეტში სრულიად არაჭირვეული და ბუნებას იდეალურად შეგუებული მცენარეა, ადვილად იტანს ყოველგვარ დასაშვებ ჭრილობას, აღდგენა შეუძლია მიწაში ჩარჩენილი ერთი ფესვითაც კი.

დაფნა ჩვენს მუნიციპალიტეტში ყველაზე უკეთესად ხარობს ხეთისა და ხამისქურის გორაკბორცვიან–კირქვიან, კარბონატულ ნიადაგზე, კერძოდ, ურთისა და წინანგოლის მთისწინებში, მისი ძლიერი ფესვები ადვილად შლიან კირქვებს და სხვა ნიადაგწარმომქმნელ კომპონენტებთან ერთად აქცევენ მათ ნაყოფიერ ნიადაგად. პლანტაციის გაშენება უმჯობესია სამხრეთ, სამხრეთ აღმოსავლეთ და სამხრეთ დასავლეთ ფერდობებზე. თუ ფერდობის დახრის კუთხე 25-30 გრადუსზე მეტია, აუცილებელია ფართობის დატერასება (აპრობირებული მეთოდით), რათა ნიადაგი ნეშომპალასა და ჰუმუსთან ერთად არ ჩამოირეცხოს.

დაბლობ ვაკე ადგილებში აუცილებელია საღრენაჟე არხების გაყვანა, ვინაიდან მის ფესვებს არ უყვართ ჭარბი ტენი. არხებს შორის ნაკვეთებს უნდა მივცეთ ამოყირავებული თეფშის ფორმა.

პლანტაციებში–ორგანული, ჰუმინური და ქიმიური სასუქების შეტანა ჩვენს პირობებში უმჯობესია ადრე გაზაფხულზე, დაფნის აქტიური სავეგეტაციო პერიოდის დადგომამდე.

ნაკელი „ტკილი“, ლექი, ჭალის მიწა, დაბლობში კირი შევიტანოთ აპრობირებული წესით. ქიმიური სასუქები ჩემი პირადი გამოცდილებით–აზოტი (გვარჯილა)–50 % კომბინირებული სასუქი NPK–16-16-16-50. ყოველი თვენახევრის შემდეგ გაუმეორეთ აზოტი. შესაძლებლობებისამებრ სეზონზე სამჯერ ფოთოლზე შეასხურეთ ნოვალონი NPK–13-40-13.

კარგად განვითარებული ერთწლიანი ნაზარდის მინიმალური პარამატრებია–ტოტის სიგრძე 35 სმ; დიამეტრი–8 მილიმეტრი; რაც უფრო ბრწყინავს ფოთოლი, მით უფრო ჯანსაღია იგი. თუ ფოთლების ცვენა წელიწადში ნორმაზე მეტია (5%) ეს უკვე ანომალიაა, რაც წყლის სიჭარბეზე, სოკოვან დაავადებებზე ან საკვები ნივთიერების ნაკლებობაზე მიუთითებს.

პლანტაციის გაშენებისას პირველ რიგში უნდა დააბუჩქოთ მცენარე, ამისთვის 2 წლის ნაზარდს შეაჭერით ტოტები (3 კვირტის ზემოთ „ცერად“ 45 გრადუსით) 5-6 წლის ბუჩქის ფესვთა სისტემის გაძლიერების პირდაპირპროპორციულად შეგიძლიათ მისი ფორმირება სიმაღლეში. ისე, რომ ტოტები მაქსიმალურად იყვნენ დაშორებული ერთმანეთს. დაფნის ტოტების შეჭრა პირველ წელიწადს არაა რეკომენდირებული. შეჭრა-შეკვეცა ხდება აქტიური ზრდის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ, ადრე გაზაფხულამდე.

დაფნა სუბტროპიკულ ტყეებში მეორე იარუსის ქვეტყეა, იგი სინათლის საშუალოდ მოყვარული მცენარეა და ფოტოსინთეზი დაბალი განათების პირობებშიც შეუძლია, ამიტომაცაა მისი ტოტები ხშირი და ზოგჯერ გაუვალიც, ასეთ ადგილებში კი სარეველები ვერ ხარობენ, უმარტივესი მცენარეების გარდა.

ძალიან ადვილია დაფნის ბუჩქების ფორმირება მისი ტოტების მაქსიმუმამდე დრეკადობისა და მოქნილობის გამო. მისი გაზონად, სხვადასხვა ფორმის დეკორაციად, ღობედ გადაქცევა სავსებით ადვილია. დაფნის ღობეს სიმაღლეს თუ მოვუმატებთ, იგი იქცევა შესანიშნავ მინი ქარსაფარად, რითაც ნიადაგს გამოქარვისაგან იცავს. (მწვანილებს, ბოსტნეულს, კენკროვანებს სხვ. ქარისგან იცავს).

ძირითად დაავადებათაგან დაფნას ყველაზე მეტ ზიანს აყენებს ფოთლების და ტოტების შავლაქიანობა („მანა“). გამომწვევი–კოკციდები, ფარიანები და ცრუფარიანები, რომელთა ექსკრემენტები იშლება მცენარეთა ფოთლებსა და ტოტებზე, მცენარე ფაქტიურად ვერ სუნთქავს, რაც მოსავალს 30–40% ამცირებს;

მწოვანა პარაზიტები–ტკიპები, ბუგრები, ფრთათეთრები, ისინი წოვენ ნორჩი ყლორტების წვენს და იწვევენ მათ დახუჭუჭებას.

სოკოვანი დაავადებები: სიმპტომატიკა–ფოთლის ქვედა მხარის ყავისფერი, თეთრი ლაქები, ფოთლების ჭკნობა და ცვენა;

ფესვის სიდამპლე: სიმპტომი–ფესვების ნაცრისფერი და თეთრი სოკოვანი ნადებები. გამომწვევი–ჭარბი ტენი და მავნე სოკოები.

შეწამვლა სათანადო პრეპარატებით.

პრეპარატის შეძენისას დააკვირდით, რომ ის აუცილებლად იყოს ქარხნული წესით ჩამოსხმული, დაშტამპული და ეტიკეტირებული. სხვა შემთხვევაში ისინი ჩაითვლება ფალსიფიცირებულად ან ვადაგასულად. ამასთან პრეპარატები რეალიზებულუნდა იქნეს სერთიფიცირებულ მაღაზიებში სათანადო სპეციალობისა და გამოცდილების მქონე გამყიდველის მიერ, რათა მისგან მივიღოთ საჭირო ინფორმაცია და კონსულტაცია.

დაფნის თანმდევი სარეველების საწინააღმდეგო ჰერბიციდები მეტად

თუ ნაკლებად აფერხებენ მცენარის ზრდა-განვითარებას, ამიტომ შეწამვლისას ნუ შეასხურებთ მას ფოთლებზე, განსაკუთრებით ნორჩ ყლორტებზე; შეწამლვისას აუცილებლად გამოიყენეთ სპეციალური ფილტრიანი ნიღაბი და ხელთათმანი.

ნედლი დაფნის ფოთლებისა და ტოტებისგან მზადდება საუკეთესო არომატის მქონე ეთეროვანი ზეთები, რომელიც გამოიყენება პარფიუმერიასა და კულინარიაში.

დაფნის ფოთლები მდიდარია მიკრო ელემენტებით, რითაც იმუნიტეტის გაძლიერებას უწყობს ხელს, აქვს ანტიბაქტერიული, ანტიანთებითი და სისხლში გლუკოზის დამწევი მოქმედება.

ფოთოლი გამოშრობისას მთლიანად ინარჩუნებს სამკურნალო ღირებულებებს.

ნაყოფს იყენებენ რევმატიზმით, დამბლითა და გაციებით გამოწვეული დაავადებების სამკურნალოდ.

დამეთანხმებით, ამ და სხვა მრავალი სასარგებლო თვისებების გამო, სრულიად სამართლიანად ეწოდა დაფნას „კეთილშობილი“, სასიხარულოა, რომ ამ კულტურის გაშენებით უფრო მეტი ხობელი ინტერესდება. ამის თქმის უფლებას მაძლევს კონსულტაციის მიღების მსურველთა ზრდა.

გირჩევთ და მოგიწოდებთ ახალი კულტურის გაშენების არჩევანის შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭოთ დაფნის პლანტაციის გაშენებას.

გააკეთეთ სიკეთე, შეაყვარეთ თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს ეს მართლაც ქართველ კაცს ვაზივით თანაშეზრდილი უკეთილშობილესი და ულამაზესი „ცოცხალი არსება“–დაფნა, ის შრომას აუცილებლად დაგიფასებთ.

რევაზ ბერაია,
ბიოლოგი, მცენარეთა დაცვის სერთიფიცირებული მაღაზიის მეპატრონე.

ხობელები უცხოეთში

თამარ ჯორჯიკია

მეოცე საუკუნის ქართული ინტელიგენციის გამორჩეული წარმომადგენელი თამარ კონსტანტინეს ასული ჯორჯიკია დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევში (ნაფოშტუში).

თამარ ჯორჯიკიას დედა ადრე გარდაეცვალა, ამიტომ ბავშვს დედობა ნოჯიხევში მცხოვრებმა სალაყაიების ოჯახის ქალბატონებმა გაუწიეს. თამარი იყო ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ჯაჯუ ჯორჯიკიას ბიძაშვილი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თამარის ოჯახი ახალი რეჟიმის იდეოლოგიასთან წინააღმდეგობის გამო ემიგრაციაში წავიდა, კერძოდ ჩინეთის ქალაქ ხარბინში (ხარბინი–ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე პროვინცია ხეილუნძიანის დედაქალაქი და უდიდესი ქალაქი. იგი წარმოადგენს ქვეყნის ამ რეგიონის როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასევე კულტურულ და სამეცნიერო ცენტრს.). ხარბინში საკმაოდ მძლავრი ქართული დიასპორა იყო.



თამარის ოჯახი საცხოვრებლად ჩინეთიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასულა, კერძოდ–სან ფრანცისკოში, ხოლო შემდეგ ნიუ იორკში.

თამარი კორხელის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, სადაც თავისი მომავალი მეუღლე პავლე კვარაცხელია გაიცნო. თამარი და პავლე 1923 წელს დაქორწინდნენ. 1924 წელს შეეძინათ ქალიშვილი ნინო, 1926 წელს კი–ელისაბედი (ბეტი). შეიქმნა მშვენიერი ოჯახი, რომელიც წელთა მანძილზე გამრავლდა შვილთაშვილებამდე.

ბავშვების გამო თამარმა ვეღარ შეძლო სწავლის გაგრძელება. ოჯახმა სახლი ნიუ–იორკთან ახლოს, ქალაქ იანკერსში შეიძინა, სადაც ტომპსონის ინსტიტუტი მდებარეობდა. მალე მათი სახლი ქართველების თავშეყრის საყვარელ ადგილად იქცა.

შემდეგ ვანო კობახიძე წერდა: ნიუ-იორკის მახლობლად მდებარე ქალაქ იანკერსში, სადაც კვარაცხელიები ცხოვრობდნენ, მათი სახლი იყო ისეთივე, როგორც ოდესღაც მანანა ორბელიანის სალონი თბილისში, მათკენ მოისწრაფვოდა ყველა. ბევრი კი იანკერსში სახლდებოდა, რომ კვარაცხელიებთან ახლოს ყოფილიყვნენ.

1930–იანი წლების დასაწყისში სათვისტომოს დაარსების იდეას პირველად თამარ ჯორჯიკიამ, ასლან ყრუაშვილმა და კოსტა ხუნწარიამ აუბეს მხარი. სათვისტომოს საზეიმოდ კურთხევა 1932 წლის 31 იანვარს იანკერსში, სწორედ კვარაცხელიების სახლში მოხდა.

1932 წლი 24 აპრილს ქართული ასოციაციის პირველ კრებაზე სათვისტომოს პირველ თავმჯდომარედ პავლე კვარაცხელია აირჩიეს. პავლე კვარაცხელია სათვისტომოს გარდა სხვა მხრივაც ეწეოდა აქტიურ ქართულ საქმიანობას. წერდა სტატიებს და კორესპონდენციებს ემიგრანტულ პრესაში, ოჯახთან ერთად მონაწილეობდა ყველა ქართულ ღონისძიებაში.

950-იანი წლების დასაწყისში პავლე კვარაცხელია პენსიაზე გავიდა, ინსტიტუტმა დიდი პატივისცემითა და ჯილდოებით გააცილა. პენსიაზე გასვლის შემდეგ კვარაცხელიების ოჯახი ფლორიდის სამხრეთ სანაპიროზე, საკურორტო ქალაქ ფორტ ლაუდერდელში გადასახლდა.

წყარო: გურამ შარაძე, „ქართველი ამერიკელები“. თბილისი, 1992 წელი.

მოგვაწოდა ლევან ღვინჯილიამ.

სულთათანა

ალექსანდრე (აკო) ლოლუა და გიგა ტკაჩოვი

საბედისწერო აღმოჩნდა 29 თებერვლის დილა... ავტოსაგზაო შემთხვევა... ბრძოლა სიცოცხლისთვის... და მაინც ორი ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლე...

ალექსანდრე (აკო) ლოლუა–21 წლის,

გიგა ტკაჩოვი–25 წლის...

ძნელია მათზე წარსულში საუბარი, გამორჩეული ახალგაზრდები, სიცოცხლით სავსენი, ღიმილიანი ბიჭები, რომლებიც დაკარგა არამარტო ოჯახმა, ჩვენმა სკოლამ და მეგობრებმა, არამედ სრულიად საქართველომ.

თითქოს გუშინ იყო... პირველი კლასი, შეხვედრა ახალ მეგობრებთან, მასწავლებლებთან, ცოდნასთან ზიარება, სასიამოვნო და საინტერესო სიახლეები... არაერთ კონკურსსა თუ ნომინაციაში გამარჯვება. გამოშვების საღამო, ცხოვრების ახალი საფეხური.

...ალექსანდრე–ჩვენი სკოლის ოქროს მედალოსანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტი ხდება, გიგა ტკაჩოვი კი მუშაობს და ზრუნავს მამასა და ძმაზე... (ერთი წლის წინ დედა გარდაეცვალა), თითქოს ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ იმ ავბედითმა დილამ, შეცვალა ყველაფერი, გააუფერულა გაზაფხული, სკოლელებისა და კლასელების ცხოვრება, ვერ გაუძელეს... დარჩა აუხდენელი ოცნებები, მიზნები...

დედა, ჩვენი სკოლის პედაგოგი მაკა ფარულავა და მამა თემური, აქამდეც უდიდეს ტკივილს ატარებდნენ, მათ 25 წლის წინ დაკარგეს ვაჟი, სამი წლის გიგა, ამ ტკივილით მიყენებული იარა ჯერაც მოუშუშებელი იყო, ახლა აკო, რომელიც მათთვის იყო არა მხოლოდ შვილი, არამედ გადამრჩენი, იმედი, სიხარული, მომავალი.

ძნელია ანუგეშო აკოს ერთადერთი და ანა, რომელმაც ახლახანს შექმნა ოჯახი, გიგას უმცროსი ძმა–გოგა, მაგრამ ვცდილობთ გითანაგრძნოთ. გამძლეობას გისურვებთ ჩვენო ძვირფასებო!

ძნელია ანუგეშო შვილმკვდარი მშობლები, გვიჭირს მასწავლებლებს, მეგობრებს, მთელი სოფელი დაგტირით და მიგაცილებთ ცრემლიანი თვალებით მარადიული სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე... უსასრულოა მონატრება... ღმერთს ებარებოდეთ ჩვენო გამორჩეულო, საამაყო ბიჭებო!

ქვემო ქვალონის №2 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

...მჯეროდა სასწაულის, მჯეროდა ბოლო წუთამდე, დედაზე და სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულს სიკვდილი ვერ მიუახლოვდება მეთქი. მოვტყუვდი. ახლა არ ვიცი როგორ მოვიქცე, მტკივა თემური და მაკა, მტკივა აკო...

არ ვიცი რით ვანუგეშო შენი დედ-მამა. შენ გონიერი, აზრიანი, ჭკვიანი, საამაყო, სასახელო შვილი ყავდით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 100 %-იან გრანტზე ჩაბარე, იურისტის დიპლომის აღება ვერ მოასწარი. სამაგიეროდ აღებული გაქვს „ეტალონის“ და „ყველაზე ჭკვიანის“ ყველა ნომინაციაში სიგელები და დიპლომები... სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრე... და დაგრჩა ნატვრა, ოცნებები, სიყვარული, მონატრება... შეწყვეტილი პატარა ლამაზი ზღაპარი.

ჯენეტი ბერაია–ლოლუა.

არ ვიცი საიდან დავიწყო და რა ვთქვა, რადგან სიტყვები ძნელი მოსაძებნია იმისთვის, რომ ილაპარაკო 21 წლის აკო ლოლუაზე, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი იყო, არის და იქნება.

აკო, ჩემო ძმაო, უდიდესი ტკივილი ხარ. უმძიმესი და წარმოუდგენელია იმის გააზრება და შეგუება, რომ შენნაირი ადამიანი ამ ქვეყნად აღარ არის. შენ სულ სხვა იყავი, ნიჭიერი, განათლებული, კეთილგონიერი, სულით პატიოსანი...

კარგად ვიცნობდით ორივე ერთმანეთს, ისეთი სიყვარული გვქონდა, ბევრსაც შეშურდებოდა. ყველაზე მეტად ის მიმძიმებს გულს, რომ ბოლო დროს ხშირად ვერ ვახერხებდით ერთმანეთის ნახვას... აზრადაც ვერ გავივლებდით ესეთი ტრაგედია დატრიალდებოდა. შენ სიცოცხლით სავსე ადამიანი იყავი, ყოველთვის პოზიტივს ასხივებდი. ახლა შენ აღარა ხარ ამ ქვეყნად და ეს წარმოუდგენელი საშინელებაა. უბრალოდ, არ ვიცი რა ვთქვა, უდიდესი დანაკლისი ხარ არა მარტო ჩემთვის, ოჯახისთვის და მეგობრებისთვის არამედ მთელი ქვეყნისთვის.

ყოველთვის იქნები ჩემს გულში და ძალიან მენანები. ოდესღაც, ალბათ, ისევ შევხვდებით ერთმანეთს!..

ირაკლი კვირკველია

ანრი ჯგერენაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველობა ჭადრაკში

ქალაქ ხობში, საჭადრაკო კლუბ „ლაზი ერში“, ანრი ჯგერენაიას სახელობის მემორიალური ტურნირის დასკვნითი ტურის შეხვედრები და გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა. ტურნირი საჭადრაკო კლუბ „ლაზი ერის“ ორგანიზებით ჩატარდა და მასში 12 ადგილობრივი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა კობა კვიკვინიამ, II ადგილი–ბადრი ლომაიამ, III ადგილი–ნიკა ბუკიამ.

გამარჯვებული და პრიზიორი მოჭადრაკეები თასებით, სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

პირველობას ანრი ჯგერენაიას ოჯახის წევრებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ტურნირის დამთავრების შემდეგ მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ანრი ჯგერენაიას ხსოვნას.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე ვარაზ გაბედავამ, ანრი ჯგერენაიას მასწავლებელმა ალექსანდრე (საშა) არჩაიამ, მურმან და გიორგი იოსავებმა.

ევროპის ჩემპიონობისთვის ემზადებიან...

2020 წლის 5-7 მარტს ქ. გურჯაანში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (უმცროსი ასაკის ჭაბუკებს შორის), სადაც მონაწილეობას ღებულობდა ხობის სასპორტო სკოლის მოსწავლეები (პირადი მწვრთნელი ალმასხან ხუნჯუა).

პირველი ადგილი 48 კგ. წონით კატეგორიაში წილად ხვდა მიშიკო ალექსანდრიას.

57 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი კი გოგა უბილავამ დაიკავა.

ისინი ემზადებიან ევროპის ჩემპიონობისთვის.

ვულოცავთ მათ ამ შთამბეჭდავ გამარჯვებას და მომავალშიც არაერთ წარმატებას ვუსურვებთ.

ნაირა ბერაია

ჭეშმარიტებანი

თეაკო ჯიმშაგას!

ჩვენო საყვარელო თეაკო, დიდი სიყვარულით გილოცავთ შენს პირველ დაბადების დღეს. გისურვებთ სიხარულს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას.

კიდევ უამრავი ლამაზი დღე მოგველოცოს შენი ლამაზი ღიმილის თანხლებით, გვიყვარხარ ძალიან.

დედიკოს მეგობრები.

ყვირაძის წანაყოთხი

ლაშა გვასალია

სიყვარულსაც მოერია ეშმაკი

მოთხრობა

თავი ჩამოიხრჩოო ბედიამ, ხმა გავარდა სოფელში. ვინ ბედიაო, არავის უკითხავს, ყველამ იცოდა ვინც იყო ბედია, ობოლი და სვეუნათელო ცხოვრება უნახავი ახალგაზრდა. ყველა ტიროდა და ვიშვიშებადა, ეს ამხელა ცოდვა რამ ჩაადენინა, თავი რამ გაამეტებინა იმ ბედდამწვარს, იმასაო.

სამზადის გვერდით, საჩრდილობელ უზარმაზარ კოპიტის ხეზე, თავისივე ცხენის საბელით, ჩამოკონწიალებული უნახავს მეზობლის ბიჭს. ეს რა უბედურება და უსაშველობა ჩაუგუბდათ ამ ცოდვიშვილებს, ჯერ იყო და ბედიას დედ-მამა ბონდის ხიდზე გადმოსვლისას გაიტაცა ღვარცოფად და ლანქერად მოვარდნილმა მდინარემ. ეს საწყალი ძლივს ობლობითა და სამადლოდ გამოიზარდა და ახლა ეგეც ასე უღმერთოდ გაეცალა წუთისოფელს, შვილი და ძირი მაინც დარჩენოდა ამ საცოდავს, ამასაო,–იცრემლებოდა დიდ-პატარა.

ფარნამ, ბედიას ბიძაშვილმა, სუ იმ ამოსაგდები ცაუს ბრალია, ჯერ თავი შეაყვარა, სანთლად აენთო და მერე ისეთი ეშმაკეული წერილი გამოუგზავნა, გაგიჟდა კაცი, ერთ დღე- ღამეში დაბერდა, სიცოცხლე არ მინდა, მის გარეშე მაინც ვერ გავძლებო და ა, რა გააკეთა, ამას როგორ ვიფიქრებდი თორემ აველანდებოდი და არ მოვსცილდებოდი წამითაცო,- გრგვინავდა ლომივით ბიჭი.

სასოწარკვეთილსა და იმედგადაწურულ ბედიას მოძღვრისთვის მიურბენინებია ბარათი. მოძღვარს წაუკითხავს, გაოცებულსა და ელდანაკრავს უთქვამს მერე ბიჭისთვის: დაწვი ეგ წერილი, ორი- სამი დღის მერე მიაკითხე, დრო ორივეს მოგეფონებათ სიმშვიდედ, დაელაპარაკე და გაარკვიე რა მოხდა, რა ბუზმა უკბინაო.

რა არ იფიქრა, რა არ წარმოიდგინა, თავის სიღარიბესა და უქონლობას დააბრალა ყველაფერი, ძალიანი ოჯახიდანაა და სოროში აბა როგორ იცხოვრებდაო... იმას ისეთი ქმარი სჭირდება, ვინც რამეს მისცემს, დაამშვენებს, გაახარებს, აბა მე რისი მაქნისი ვარო? კიდევ ათასი რამე და თავი ამოუვალ ტკივილის ჭაში ჩაიგდო. პირველად დალია იმ საღამოს მარტომ, თავისივე გამოხდილი, ცეცხლჯაჭვა არაყი, ორი ბოთლი გამოცალა და ერიჰა, ხოა ნათქვამი- მთვრალს სამოთხეში რა ესაქმებაო, და ქნა საჯოჯოხეთო საქმე.

ტკივილითა და ცხარე, ალალი ცრემლებით გაასვენეს საწყალი ბიჭი, მღვდელმა თავიდან იუარა წესის აგება, ვერ დავარღვევ წესსა და კანონს, მაგან თავად გაიჭრა გზა ჯოჯოხეთისკენო, მაგრამ მერე ეტყობა ანგელოზებმა შეაგულიანეს, თავისთავზე აიღო ყველა შეცოდებანი ბედიასი და შენდობის ძალგულობით წესიც აუგო და უკანასკნელ გზაზე ღვთიური სანთლითაც გააცილა.

ცაუ ერთი წუთითაც არ მოსცილებია საყვარელი მიჯნურის ცხედარს, ხმაგაკმენდილსა და გაშეშებულს სულ ღაპა–ღუპით ჩამოსდიოდა უსასველო ტკივილის ცრემლები. ბედიას ხარხუნტია ხმა ჩაესმოდა წუხილძლეულს: ხომ იცი, მახარია, შენ ხარ ჩემი მზე, მთვარეცა და ვარსკვლავებიც, შენს გარდა არავინ მყავს ქვეყანაზე და ყველაფერს შენს სახელს ვარქმევ, აი, იმ გურგურია ჩიტსაც ცაუ დავარქვი, არ მშორდება ეს მაზაკელა, ესა, სადაც არ უნდა წავიდე თან დამყვება, მგონი ბედის მწიკვი მასაც უწილადე და არ მტოვებს მარტოს.

მთელი სოფელი ზიზღითა და სიძულვილთ შეჰყურებდა დამნაშავედ დაგულოვნებულ გოგონას, რომელსაც ვერაფერი გაეგო და გონმიუღწევ ტკივილს დამონებული, გულში ერთსა და იგივეს იმეორებდა: რატომ ბედია, რატომ?!..

ხარების ბრწყინვალე დღესასწაულმა ბედიას გარეშე ჩაიარა. კვირის ბოლოს აღსარებაზე, შავებით მოსილ ცაუს, ნებსითი თუ უნებლიე ცოდვები რომ შეუნდო მოძღვარმა, უცებ ენის წაბორძიკებით მიმართა: რატომ მისწერე ის ბარათი ბედიას?

რა ბარათი, მამაო?–დაბნეულმა და გაკვირვებულმა გოგონამ კითხვა უკანვე დაუბრუნა. ეს უკანასკნელი გაშეშებული ჩაჰყურებდა ცაუს კრილა, ცრემლით სავსე თვალებს.

არ უნდოდა გაგრძელება, მაგრამ ვერ დააგუბა კითხვის მდინარე: აი, სიკვდილის წინ რომ გაგიგზავნია ის!..

–ვერ გავიგე, მამაო, რომელ წერილზე მეკითხებით?–დაბნეული შესცქეროდა გოგო მოძღვარს.

–რა ვიცი, რა�ა ვიცი...

–წერილი მისთვის არასდროს მიმიწერია, სამწუხაროდ, და... რატომ მეკითხებით მამაო?

–არაფერი, შვილო, არაფერი, ამერია რაღაც!–გაფითრებული სახითა და ბუტბუტით გაშორდა მღვდელი გოგონას, ჩქარი ნაბიჯებით გარეთ გავიდა, ეზოში ცაცხვის ხეს მიეყრდნო, ცრემლები მოერია და გულიდან ამოხეთქილად წაილუღლუღა: სიყვარულსაც მოერიაო ეშმაკი!..

ლაშა გვასალია

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.